

ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯის დირექტორის
2018 წლის ბრძანება N19 დანართი 1

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი (შემდგომში - წესი) განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ან/და მოდულის შემუშავების, არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ან/და მოდულში ცვლილების შეტანის ან გაუქმების წესს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი ახალი პროფესიული კოლეჯი (შემდგომში კოლეჯი)
- ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში ცენტრი)
- გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (შემდგომში პროგრამა)
- დ) მოდული - სწავლების დამოუკიდებელი, თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც ორიენტირებულია მისაღწევ სწავლის შედეგებზე. მოდულით განისაზღვრება სასწავლო თემატიკისა და მისაღწევი სწავლის შედეგების ურთიერთკავშირი და პროფესიული სტუდენტის სწავლებისა და შეფასების ორგანიზებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.
- ე) ინიციატორი - დაინტერესებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც:
 - ე.ა) წარმოადგენს ინიციატივას ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების შესახებ;
 - ე.ბ) წარმოადგენს ინიციატივას არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ან/და მოდულში ცვლილების განხორციელების შესახებ.
 - ე.ვ) სამუშაო ჯგუფი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით შექმნილი ჯგუფი: ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის მართვის მენეჯერის ასისტენტი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტი, პროგრამის შესაბამისი პროფესიული განათლების მასწავლებელი.
- ზ) ტექნიკური ცვლილება - დამხმარე ჩანაწერებში ნებისმიერი ცვლილება.

მუხლი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამტკიცება

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდება სამუშაო ჯგუფის მიერ კოლეჯის მიერ დადგენილი პროცედურებისა და ვადების შესაბამისად.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
 - ა) ანალიზის დოკუმენტის შემუშავება, რომელიც ეფუძნება სახელმწიფო პრიორიტეტებს, რაიონის სპეციფიკას, დაწესებულების გამოცდილებას, საზოგადოების მოთხოვნას, შრომის ბაზრის მოთხოვნას, სხვა ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგებს;



ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯი

- ბ) ანალიზის დოკუმენტის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროების გათვალისწინებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტ(ებ)ის იდენტიფიცირება ხარისხის სამსახურის მიერ.
- გ) ხარისხი წარუდგენს დირექტორს იდენტიფიცირებულ პროგრამას შესაბამისი დასაბუთებით
- გ.ა) უარი პროგრამის დამატებაზე
- გ.ბ) თანხმობა პროგრამის მომზადებაზე
- დ) სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის და მასწავლებლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/ადაპტირება;
- ე) სასწავლო პროცესის მართვის სამსახური წარუდგენს ხარისხის მართვის სამსახურს ადაპტირებულ პროგრამას
- ვ) ხარისხის მართვის მენეჯერი წარუდგენს დირექტორს დასამტკიცებლად
- ზ) დირექტორი ამტკიცებს პროგრამას.

მუხლი 4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, მოდულში ცვლილების შეტანა

1. ინიციატორის ინიციატივით პროგრამაში და/ან მოდულში ცვლილებების საფუძველი შესაძლებელია იყოს შემდეგი ერთ-ერთი პირობა:
 - ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის/მოდულის განახლება - ცენტრის მიერ პროგრამის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში და/ან მოდულ(ებ)ში ცვლილებ(ებ)ის განხორციელება;
 - ბ) კოლეჯში დამტკიცებულ პროგრამა(ებ)ში და/ან მოდულ(ებ)ში ტექნიკური ცვლილებების საჭიროება;

მუხლი 5. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება

1. პროგრამის გაუქმების საფუძველი შესაძლებელია იყოს შემდეგი ერთ-ერთი პირობა:
 - ა) პროგრამის საფუძველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის გაუქმება;
 - ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მისანიჭებელი კვალიფიკაციის გაუქმება
 - გ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული იყო პროფესიული სტუდენტების მიღება დადგენილი ადგილების ზღვრული რაოდენობის შესაბამისად, მაგრამ ორი სასწავლო წლის მანძილზე დარეგისტრირდა გამოცხადებული ქვოტის 50%-ზე ნაკლები რაოდენობის აპლიკანტი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში პროფესიული პროგრამის გაუქმების შესახებ ინიცირებას ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი;
3. ამ მუხლის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული წინაპირობების არსებობის შემთხვევაში პროფესიული პროგრამის გაუქმების შესახებ ინიცირებას ახორციელებს საბუთების მიმღები კომისია.
4. ამ მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ინიცირების საფუძველზე კოლეჯის დირექტორის ბრძანებით ხორციელდება პროგრამის გაუქმება.